

## თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში აღნიშნულია, რომ „თანდებული დაერთვის მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და მიმართულებითს ბრუნვებს... ზოგი თანდებული თითო ბრუნვას ერთვის, ზოგიც – ორ ბრუნვას. თითო ბრუნვას ერთვის: **-ზე, -ში, -თან** (მიცემითს); **-კენ, -თვის** (ნათესაობითს); **-მდე // -მდის** (მიმართულებითს); **-ურთ** (მოქმედებითს). ორ ბრუნვას ერთვის **-გან** (მოქმედებითსა და ნათესაობითს)“ [ნორმები 1986].

1. **-ზე** თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: **-ზედა, -ზედ** და **-ზე**. **-ზედა** სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იდგა და მიცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველ ქართულში იგი ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა. **-ზედ** და **-ზე** სახეობები **-ზედა**-ს გამარტივების შედეგია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან: თანხმოვანფუძი-

ანებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. მიცემითის **-ს** დაცულია III პირის ნაცვალსახელში **მა-ს-ზე**, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დაერთვისას აქაც იკარგება: **ამა-ზე, იმა-ზე...** [ნორმები 1986].

აღნიშნულია ისიც, რომ ქართული მწერლობის კლასიკოსებთან **-ზედ** და **-ზე** სახეობები თანაბრად გვხვდება.

**-ზედა** თანდებულნი ფორმები ხშირია ილიას, ვაჟას, აკაკისა და ყაზბეგის შემოქმედებაში, აგრეთვე – უცხოურიდან ნათარგმნ ლიტერატურაში: „კაცი მას ჰქვიან, ვინც მონძები **ტანზედ** ჩაიღვა და მით ამყობს“ (ვაჟა); „ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია **ტანზედ**“ (ილია); „რამდენადაც გაგი იქ იტანჯებოდა, იმდენად **გორაზედ** მყოფთ ნუგეში ეძლეოდათ და იმედი ჰქონდათ“ (ალ. ყაზბეგი); „დარეჯან დედოფლის სასახლე მეტეხის **გორაზედ** გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის ძეგლია“ (დედათა მონასტრის ისტორია); „ვიღაცა **სახელოზედ** მებლაუჭება. მე ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს“ (ო. ჰენრი).

რაც შეეხება თანამედროვე ქართულის ვითარებას, აღსანიშნავია, რომ ძირითად სახეობად დასტურდება **-ზე** თანდებულიანი ვარიანტები: „მე ვერ ვიტყვი, ოღონდ ნატო კარგად იყოს და გინდა ქვა **ქვაზე** ნუ დარჩენილა საქართველოში“; „მთაწმინდის პანთეონში, ვაჟა-ფშაველას საფლავის **ქვაზე**, ჯვრის დამაგრების განკარგულება თბილისის მერიას არ გაუცია“; „დღეს ძალიან პოპულარულია **მდინარეზე** მოწყობილი კრუიზები“; „**მდინარეზე** დაშვებისას ვიყენებთ მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებულ სერტიფიცირებულ ადჭურვილობას“; „გოგონა, რომელიც დედამ 2 წლის ასაკში მიატოვა, საკუთარ **სახლზე** ოცნებობს“; „**ხეზე** კვეთა, ანუ ხის მხატვრული დამუშავება, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ხელოვნება“...

როგორც ჩანს, ახალ ქართულში გაბატონებულია **-ზე** თანდებულიანი სახეობა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში (პროზასა თუ პოეზიაში) მაინც დასტურდება **-ზედა** ვარიანტიანი ფორმები.

„**-ზედ** სახეობა იხმარება **-ვე** ნაწილაკის დართვისას: **თავზედვე, მთაზედვე, თქვენზედვე** [ნორმები 1986]: „გაჯავრებულმა უფაღმა **მთაზედვე** უთხრა ეს ამბავი მოსეს და დაემუქრა“ (საღმრთო ისტორია, წიგნი II); „სინას **მთაზედვე** მეფემ ააშენა წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომელიც გაამდიდრა ყოველის შემკულობით...“; „და შენს **თავზედვე** შენგან ცილსა როგორ მოგიტმენ, ვიცი ზარმაცი შენა არა ხარ...“ (ი. მაჩაბ. თარგმ.)...

თანამედროვე ქართულში **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ვარიანტები საკმაოდ ხშირად დასტურდება: „**ამაზევე** მოგახსენე“; „**შენზევე** ითქვა“; „**ჩვენზევე** უკმაყოფილო ადამიანები რეკავენ“; „**თქვენზევე** ნათქვამი სიტყვა დამხვდა წინ“...

„**-ზედა** სახეობა იხმარება ც(ა) ნაწილაკის დართვისას: **თავზედაც, მთაზედაც, ჩემზედაც**“ [ნორმები 1986]: „წელიწადიც იშვიათად გაივლიდა, რომ ჩვენ გვერდით და ჩვენს **თავზედაც** ცეცხლის გრიგალი არ ავარდნილიყო“; „მრავალჯამიერი არის ლიტურგიის შემადგენელი ნაწილი ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მათ შორის, ათონის **მთაზედაც**“; „ვიცი, განგება **ჩემზედაც** ზრუნავს, ახალ კალენდარს დავყურებ რწმენით“; „ეს ჭეშმარიტება **ჩემზედაც** გამართლდა, მაგრამ საჭიროა ჯერ ალჟირში ჩასვლა“...

განსაკუთრებით გამოსაყოფია **-ც(ა)** ნაწილაკდართული **-ზედა** თანდებულიანი ფორმები. ეს შემთხვევა თანამედროვე ქართულში ფაქტობრივად უკვე მხოლოდ **-ზე** თანდებულიანი ფორმებით

დასტურდება: **შენზეც, ჩემზეც, წასვლაზეც, მეგობარზეც...**

-**ზედა** თანდებული ჩვეულებრივია პოეზიის ენაში: „გამწიეს და გამოძწიეს ჩამომკიდეს **ცხენზედაო**“ (ხალხ.); „ვზივარ სამეფო **ტახტზედა!** შეურაცხყოფას ვინ მკადრებს? სალამს მიძღვნიან **ცდა-ზედა**“ (ვაჟა); „დაბრძანდა ოქროს **ტახტზედა**, ვით მეფე ქვეყნის მპყრობელი“ (ვაჟა)...

-**ზედა** თანდებული ზოგ მწერალთან გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ფრაზის შეკვრა არის საჭირო: „უკეთესია კოზლოვის **თარგმანზედა**“ (ილია). „დაასვენეს **ტახტზედა**“ (ილია)“ [ნორმები 1986].

ამ შემთხვევაშიც თანამედროვე ქართულში -**ზე** ვარიანტიანი ფორმები ჭარბობს: „უკეთესია ნინოს **წიგნზე**“; „დადგეს **მაგიდაზე**“; „ისევ მსჯელობდნენ გუშინდელ **პარლამენტარზე**“...

2. -**ში** თანდებულიც მიცემით ბრუნვას დაერთვის. ძველ ქართულში გვქონდა -**შინა**, შემდგომ აგრეთვე -**შიგან**. ახლანდელი -**ში** შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია. ბრუნვის ნიშანი დაცულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელებთან: **მასში** (მაგრამ: **ამაში, იმაში...**). დიალექტებში არის -**შიდ**, -**ჩი**, -**ჩიგ**, -**ჩიგა** სახეობები, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ეს სახეობა არ გვხვდება... [ნორმები 1986].

-**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გვაქვს -**შია** სახეობაც: „სიყვარული ჰგავს ხეს, იგი თავისუფლად იზრდება ჩვენს არსებაში და ხშირად განადგურებულ **გულშიაც** კი განაგრძობს მწვანედ ხასხასს“; „მოვსწყვიტე და მივიბნე იგი მკერდზე, ჩემს **გულშიაც** მივუჩინე მყუდრო ბინა“; „მაგრამ მაგანიას აღზნებული გონება მაინც ხედავდა ამ **სიბნელეშიაც** თავის გამოსახულებას“.

თანამედროვე ქართულში -**შია** ვარიანტიანი შემთხვევები ნაკლებად დასტურდება.

3. მიცემით ბრუნვას დაერთვის -**თან** თანდებულიც. იგი ძველი ქართულის ცალკე მდგომ -**თანა** თანდებულისგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ქართულში მიცემითსაც დაერთოდა და ნათესაობითსაც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი -**ს** დაკარგულია (ე. ი. **სთ** კომპლექსი გამარტივებულია) თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაგრამ შემონახულია ხმოვანფუძიანებთან (**სახლ-თან**, **ხად-თან**, მაგრამ: **ეზო-ს-თან**, **მამა-ს-თან**). მთის კილოებში ორივეგან შემონახულია (**სახლ-ს-თან**, **დედა-ს-თან**). სხვა აღმოსავლურ კილოებში **ს** ხმოვან-

ფუძიანებთანაც იკარგება ზოგჯერ (**მამათან**) ან სუსტდება და მას **ი** ცვლის (**მამა-ი-თან**), ზოგ დასავლურ კილოში კი ხმოვანფუძიან სახელებში მიცემითის **ს** შემონახულია, მაგრამ დაკარგულია თანდებულის **თ** ელემენტი და **სთ** კომპლექსი ამ გზითაა გამარტივებული (**ეზო-ს-ან, მამა-ს-ან**)... ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ქართულზე ზეგავლენას ვერ ახდენს... **-ც(ა)** და **-ვე** ნაწილაკების დართვისას ძველი **-თანა** სახეობაც იხმარება (**ამხანაგთანც** და **ამხანაგთანაც; დედასთანც** და **დედასთანაც; ამხანაგთანვე** და **ამხანაგთანავე; ამასთანავე**...) [ნორმები 1986].

თანამედროვე ქართულში გაბატონებულია **-თანაც** ვარიანტიანი ფორმები: „ევროპაში და ამერიკაში დაუპატიჟებლად **დედასთანაც** კი ვერ მიხვალ“; „**დასთანაც** და **ძმასთანაც** მოკრძალება და პატივისცემა საჭირო“ (და არა: **დედასთანც, დასთანც, ძმასთანც**)...

4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **-თვის** თანდებულო. ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ფორმაში ცვლილებები არ ხდება. ბრუნვის ფორმა გაუვრცობლადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გავრცობილადაც (**ამხანაგისთვის, ამხანაგისათვის; მამისთვის, მამისათვის**...): „ტელეფონით, შეტყობინების სახით მისი დაწერილი ლექსი მიიღო, რომელიც **მეგობრისთვის** მიძღვნილს ნამდვილად არ ჰგავდა“ // „**მეგობრისათვის** სიცოცხლის გაწირვა არ არის ძნელი, ძნელია ასეთი მეგობარი იპოვო“; „**დედისთვის** ყველაზე ახლო ადამიანი შვილია, რადგან მხოლოდ მას აქვს დანახული დედის გული შიგნიდან“ // „შვილი **დედისათვის** ყველაზე ძვირფასი განძია, რომელიც მას ღმერთმა აჩუქა“...

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში მაინც შეინიშნება მიდრეკილება გაუვრცობელი ფორმებისაკენ (**მეგობრისთვის, დედისთვის, შვილისთვის**...).

აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება **-თვინ, -თვინა, -თვი** სახეობები, რომელთაგან **-თვინ** ზოგ დასავლურ დიალექტში ნაშთის სახითაა შემორჩენილი. ამ სახეობებმა ადრევე იჩინა თავი და საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის კლასიკოსთა ენაშიც (**-თვინ** – ილიასთან, ალ. ყაზბეგთან, **-თვი** – ვაჟა-ფშაველასთან).

ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ენაზე გავლენას ვერ ახდენს, შესაბამისად, მხოლოდ **-თვის** სახეობაა გაბატონებული. მაგ.: „როდესაც **სახლისთვის** დეკორატიული მცენარის ყიდვას გადაწყვეტ, პირველ რიგში, მას ვიზუალურად აფასებ“; „რა გველის იმ შე-

მთხვევაში, თუკი **სახელმწიფოსთვის** საგზაო უსაფრთხოება პრიორიტეტულ საკითხად არ იქცევა?"; „საქართველოს პრემიერმინისტრმა გერმანიაში ვიზიტისას **კანცლერისთვის** თავის მოწონება გადაწყვიტა“...

5. -**კენ** თანდებული ნათესაობითს დაერთვის. ფორმაში ცვლილებები არც ამ თანდებულის დართვისას ხდება. ბრუნვის ფორმა ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც (**სახლის-კენ** და **სახლისა-კენ**; **ეზოს-კენ** და **ეზოსა-კენ**). მაგ.: „ზაფხული ხომ წელიწადის ის დროა, როდესაც გული სულ **ეზოსაკენ** მიგიწევს“ // ელიმ ორსკს ზურგი შეაქცია და სასტუმროს **ეზოსკენ** გაემართა“; „ბარაკ ობამა ქოლგით ხელში თერთი **სახლისკენ** მიემართება“ // „მე გაკვირვებული ვუცქეროდი **სახლისაკენ** მიმავალ იანგულის“...

გაუვრცობელი (**ეზოსკენ**, **სახლისკენ**) ვარიანტებისაკენ მიდრეკილება ამ შემთხვევაშიც შეინიშნება.

მთის კილოებში (მაგ., ფშაურში) გვაქვს -**კე**, -**კენ** სახეობაც, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას ნაწერებში. **კე** ვარიანტი ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. სალიტერატურო ქართულში, როგორც ითქვა, მხოლოდ -**კენ** სახეობა გვაქვს.

6. -**მდე** // -**მდის** თანდებულები დაერთვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმას. ძველ ქართულში **დ-მდე** // -**მდის** თანდებულების წინ მეტწილად დაცული იყო (**დღე-დ-მდე** // **დღე-დ-მდის**; **სახლ-ად-მდე**), თუმცა ადრევე დაიკარგა. მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებშია შემონახული მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის **ა** ელემენტი (**სახლ-ა-მდე**). ძველ ქართულში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორივე სახეობა. XVI-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში მათ დაემატა -**მდენ**, -**მდენა**, -**მდი**, -**მდინ**, -**მდინა**, -**მდისინ**, -**მდისინა** ვარიანტები, რომლებიც ამჟამად დაცულია კილოებში, ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის მწერალთა ენაშიც. მაგ.: „სოლომონმა **კიშკრამდი** მიაცილა“ (დ. კლდ.). „ხორციდან დაწყებული **სულამდინ** გამცალა“ (გ. წერ.). „**შემოდგომამდინ** გაუძლო“ (ილია).

-**მდი** სახეობა გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მწერალთა ნაწერებში (აკაკი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...), დაჟინებით იცავდა ამ ფორმას სილოვან ხუნდაძე; -**მდინ** სახეობა საკმაოდ ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მწერლებთან. მაგ.:

-**მდი:** „ძმარ ნიკო! მე სხვადასხვა შემთხვევის გამო **ხუთშაბათამდი** ვერ მოვდივარ“ (აკაკი); „სკოლაში იმას თუ გასწავლიან, **შუადღემდი** იძინეო!“ (ვაჟა); „საწყალ სონიას არც კი გაუგია, როგორ გამოიარა გზა ქველიძიდან **სახლამდი**“ (დ. კლდიაშვილი); „იმას მოგახსენებდით, ბატონო, **შუადღემდი** სანახავადაც ვერ მიხვალ...“ (გ. ერისთავი); „ეზო სახლიდან **კიშკრამდი** ნელ-ნელა დაღმართ მიდის“ (ნ. ლორთქიფანიძე)...

-**მდინ:** „ლუარსაბმა სიზმარი თავიდან **ბოლომდინ**, როგორც იყო, ისე უამბო“ (ილია); „ეს ერთი თუმანი მომცა და ამაში **შემოდგომამდინ** თხუთმეტი მანეთის ბარათი ჩამომართვა“ (ა. ფურცელაძე); „მანც ღრმა **შემოდგომამდინ** იცოდა სოფლად ყოფნა, მხარში ედგა თავის დედამთილს“ (ვ. ბარნოვი); „თქმულა, რომ არავინ დარჩება **ბოლომდინ** მოუძღურავი“ (გაბაასება კაცისა და სოფლისა); „მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს **ბოლომდინ**, საფლავის **კარებამდინ**, მივიტან“ (ილია)...

-**მდე:** „ხურჩის ცენტრიდან ნაბაკევის **სკოლამდე** ნახევარი კილომეტრია“; „ბაქსუდის **სკოლამდე** ავტობუსი ერთ საათზე მეტ დროს ანდომებს“; „პირდაპირ იქ წავედით და ქალაქის **ცენტრამდე** ტაქსი შევეუკვეთეთ“; „მათ რაიონულ **ცენტრამდე** ტრანსპორტირების თანხების დაზოგვის საშუალებას მისცემს“; „გვალვისას ან გაბმული წვიმისას გერგეტელები სამების ტაძრიდან სამების **წყარომდე** მიაბრძანებდნენ შესაბამის ხატს, განბანდნენ“; „ხვალ **დილამდე** „საქართველოს რკინიგზის“ რამდენიმე რეისი არ შესრულდება“; „ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია **დილამდე**“; „ძლიერი თოვა საქართველოში **ხვალამდე** შენარჩუნდება“; „სამუშაოს შესრულების ვადა შეიძლება მერყეობდეს ორიდან ექვს **კვირამდე**“...

-**მდის:** „ბოდის ვიხდი, რომ სიფრთხილის გამო **სახლამდის** ვერ მიგაცილებთ“; „ტომი გამოეკიდა ვერაგ მოპირდაპირეს, **სახლამდის** სდია“; „გაქვავებულ სხეულს მოვათრევ **სახლამდის**, სისხლი მდის ფიქრებიდან“; „მთვარით განათებულ ქუჩაზე ნელ-ნელა მანძილს ამოკლებს **სახლამდის**“; „აღებული გვექონდა იჯარით მიწა, **დღემდის** ვიხდით იჯარის გადასახადს“; „ამ გვირაბის ნანგრევები თითქმის თერგის **ნაპირამდის** აქა-იქ **დღემდის** დაცულია“; „დიახ, იმას მოგახსენებდი, სასამართლოში **შუადღემდის** ხომ ტოროყები არ შემიშვებენ“; „ეს რა კაი ხალხში ჩავვარდი-მეთქი და კარში გავედი, **კიშკრამდის** შუა გზაზე ძობა შემომეყარა“; „გიმზერ მზის სხივით

მოფენილს, რა შორი გზაა **სახლამდის**, წამია წუთისოფელი“; „ამ ადგილიდან მიდის გზა აღმოსავლეთისკენ, რომელიც მიაღწევს **ზღვამდის**“...

თანამედროვე ქართულში ძირითადად **-მდე** ვარიანტიანი ფორმები გვაქვს. **-მდის** შემორჩენილია რამდენიმე გაქცავებულ ფორმაში – **ნახვამდის**, **ხვალამდის**, თუმცა ეს უკანასკნელიც ნელ-ნელა **-მდე** ვარიანტზე გადადის: „აბა, კარგად იყავი **ხვალამდე**“. ვფიქრობთ, „ხვალამდე“ ტიპის გაბატონება „დღემდე“ ფორმის ანალოგიით აიხსნება: „**დღემდე** ასე იყო“; „**დღემდე** გელოდებოდი“; „**დღემდე** ეს საკითხი დღის წესრიგშია“. ამ ფორმებს მიჰყვა **ხვალამდე** სიტყვაც. რაც შეეხება **-მდის** თანდებულს, ის შეიძლება პოეზიაში შეგვხვდეს გარკვეული რითმული სტრუქტურის დასაცავად.

7. **-გან** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითზე დართვისას ბრუნვის ფორმა გავრცობილადც შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გაუვრცობლადც (**შვილისაგან** და **შვილისგან**; **გოგოსგან** და **გოგოსაგან**; **ძმისგან** და **ძმისაგან**...), მოქმედებითზე დართვისას კი – მხოლოდ გაუვრცობლად.

**-გან** თანდებულიანი ნათესაობითი სემანტიკურად აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე **ამხნავისგან**... შეაქარს **ქარხლისგან** ამზადებენ...), ხოლო **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს, შესაბამისად, მოგვიგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? ე. ი. ასრულებს ე. წ. დაწყებითი ბრუნვის ფუნქციას.

დაწყებითი ფუნქციით ძველ ქართულში იხმარებოდა უთანდებულო ფორმა (იგინი წარვიდეს ადრე მიერ **საფლავით**. – მ. 28,8; გარდამოკდა იგი მიერ **მითით**. – მ. 8,1; მე ოდეს აღვმადლდე **ქუყყანით**. – ი. 12,32; მოვიდეს **ქართლით**. – ხანძთ.). შემდგომ ამ ფორმას **გან** თანდებული დაერთო (**პირველითგან** იყო სიტყუა. – ი. 1,1; დასვა იობს წყლულება ბოროტი **ფერჯითგან** ვიდრე თავამდე. – იობ. 2,7), რასაც მოჰყვა ფონეტიკური პროცესები: ჯერ თანდებულის მჟღერი **გ**-ს გავლენით ბრუნვის ნიშანი **თ** გამჟღერდა და **დ**-დ იქცა (**ქალაქ-იდ-გან**), შემდეგ თანდებულის **გ**-ც დაიკარგა და დაგვრჩა **ქალაქ-იდ-ან**.

უთანდებულო ფორმები დაწყებითი ბრუნვის ფუნქციით ძველი ქართულის მსგავსად ამჟამადაცაა დაცული მთის დიალექტებში:

„ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:

შემოგვესია მტერიო,

**ფშავით** მოიდეს ლაშქარი,

ჩემი ერთგული ერიო“ (ვაჟა).

„მე კვირია ვარ, მიტირე,

**თუშეთით** მოსულ გზირია“ (ვაჟა).

„ავა და ჩავა კახეთსა, **ფშავით** ამზავსა ჰზიდავსა“ (ვაჟა).

„მე გირჩევთ **ხევსურეთით** წახვიდეთ თუშეთში, შედარებით ნაკლებია გასავლელი მანძილი უღელტეხილამდე“...

-**იდ-გან** ფორმა საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის მწერალთა ენაში:

„**შორიდგან** ვუმზერდე სასურველ მხარეს“ (გრ. ორბ.).

„ცისა ფერს... **სიყრმიდგან** ვეტრფოდი“ (ნ. ბარათ.).

„**თვალეზიდგან** ცეცხლსა ჰყრიდა“ (ალ. ყაზბ.) [ნორმები 1986].

„მათ დაღვრემილს სახეზედ ღიმილი ჩნდებოდა და კმაყოფილების შუქი გამოდიოდა მათი კეთილი **თვალეზიდგან**“ (ნ. ლომოური); „ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ **თვალეზიდგან** სულ მამხალეზი წამოყარო!“ (ეკ. გაბაშვილი); „ქალებს მეტი სიცილით **თვალეზიდგან** ცრემლები სდიოდათ, კაცების ტაშისკვრით და ვაშას მახილით სახლი ზანზარებდა“ (ეკ. გაბაშვილი); „**შორიდგან** სოფელმან მიმაგდო ყარიბობასა, გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?“ (ალ. ორბელიანი); „**შორიდგან** რომ შეგეხედათ ქალებისთვის, მაშინვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ არ ეკუთვნოდა“ (ალ. ყაზბეგი).

ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოკიდებული **-გან** თანდებულიან მოქმედებითს **დაღმა // დაღმე**-დან მომდინარე **-დამ** თანდებულიანი ფორმები შეენაცვლა ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა **-დამ** თანდებულიანმა ფორმებმა ფეხი XVII-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში და კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მწერალთა ნაწერებში (ილიასთან, ვაჟასთან...). მაგ.: „**მთიდამ** ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას...“ (ვაჟა); „მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ **ქალაქიდამ**“ (ილია); „მეორე დღეს უნდა **ქალაქიდამ** გავსულიყავით, მე მღვდლის სანახავად წავედი“ (ილია).



„**-დამ** თანდებულის საკითხი სალიტერატურო ქართულში ამჟამად აქტუალური აღარაა: მოქმედებითს დართულმა **-გან** თანდებულთანმა ფორმებმა (**-იდ-ან** // **-დ-ან**) გაიმარჯვა. **-დამ** თანდებული ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში, დასავლური კილოებიდან გადმონაშთის სახით გურულშილა გვხვდება... გასული საუკუნის სალიტერატურო ქართულშიც გვექონდა და დღესაც გვხვდება **-გან** თანდებულდართული ნათესაობითისა და მოქმედებითის აღრევის შემთხვევები.

1. ნათესაობითის ნაცვლად მოქმედებითია ნახმარი:

**ყმობიდან** გაგათავისუფლებო (ლ. არდაზ.).

გულდამწვარი ვარ **ზოგიერთებიდან** (ე. ნინოშვი.) [ნორმები 1986].

თანამედროვე ქართულში: „ერთი და იმავე **თიხიდან** იძერწება ეს ღვთის ჭურჭლები“; „ვინმემ იცით, როგორ კეთდება ბაბუაწვერას **ყვაილებიდან** თაფლი?“; „სადაც შორს, მთებში, ლურჯი მიწა მოიპოვება და ლურჯ ფერს იმ **მიწიდან** ამზადებენო“; „საქორწინო სუფრაზე ყოველთვის არის ე. წ. „ქორწინების ნამცხვარი“, რომელსაც „ხილის ნამცხვარი“ ეწოდება და მზადდება **ალუბლიდან**“; „პატარებს ათასნაირ ზღაპარსა თუ არაკს გვიყვებოდა, **ხიდან** სათამაშოებს გვითლიდა“; „**კარტოფილიდან** ათასნაირი კერძი მზადდება“; „**კვერცხიდან** გოგლი-მოგლი გააკეთა და კაკაოც შეურია“.

2. მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითია ნახმარი:

სინათლე... შემოდიოდა **ფანჯრებისაგან** (ე. ნინოშვი.).

„**სანაპიროსგან** ძლივს მოჩანდა სასტუმრო „აფხაზეთი“; „**ზღვისგან** სახლამდე მანძილი უფრო და უფრო გრძელდება“...

„ძველ ქართულში **-გან** თანდებულთან ნათესაობითის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელ ქართულში **-გან** თანდებულთან მოქმედებითი იხმარება, ჩვეულებრივი იყო: გამოველ **ქუეყანისგან** შენისა და **ნათესავისაგან** შენისა და **სახლისაგან** მამისა შენისა (აბო). ვითარცა **ზღვსგან** წუეთი წყალი ვინმე აღმოიღო (ხანძო).“

-**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას ორი ფორმა გვაქვს: **ძმისაგან-ც** და **ძმისა-გან-ა-ც**, ხოლო **-ვე** ნაწილაკის დართვისას მხოლოდ ერთი: **ძმისაგან-ვე** [ნორმები 1986].

8. **-ვით** თანდებულად ქცევის გზაზე დამდგარი ნაწილაკია და თანამედროვე ქართულში ორ ბრუნვას დაერთვის: მიცემითსა და სახელობითს. XIX საუკუნის ზოგი მწერლის (ილია, ნ. ლომოური) ენა-

ში ვით ნათესაობით ბრუნვას დართულიც გვხვდება... თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ ასეთი ფორმები აღარ იცის [ნორმები 1986], თუმცა დღეს მაინც გვხვდება (არცთუ იშვიათად) შემდეგი ტიპის წარმოება: **მეგობრისავით, ამ სახლისავით, იმ კაცი-სავით**, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა და მიუღებელია სალიტერატურო ქართულისათვის.

1. მიცემით ბრუნვაში -**ვით** დაერთვის:

ა) ბოლოთანხმოვნისანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში):

„გლუხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა, **შვილსავით** კალთით უტარებია“ (ილია); იმას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც **შვილსავით** ზრდიდა (აკაკი); იმავე კრებამ **საყვედურსავით** მითხრა (აკაკი).

ბ) ბოლოხმოვნისანი სახელების -**ებ** სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის გავრცობილ ფორმას (ასეთი ფორმები ბოლოთანხმოვნისათა რიგში ექცევა): „ყინულად ქცეული ნაწური **ჩურჩხელესავით** ეკიდა ხის ტოტებს (ილია); „ისინი არ მიყურებდნენ **სხვებსავით**“ (აკაკი).

გ) ბოლოხმოვნისანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოდობით რიცხვში): „სახე მისი **მზესავით** გაბრწყინდა, სამოსი განსპეტაკდა, ვითარცა თოვლი“...

დ) ნაცვალსახელების გავრცობილ ფორმას (პირის ნაცვალსახელები შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმებს იყენებენ): „ღაბუა ჩიტს **ჩემსავით** თავი მოსწონდა“ (ვაჟა); „ვხედავ, **ჩემსავით** გამოუცდელია“.

2. სახელობით ბრუნვაში -**ვით** დაერთვის (ბოლოთანხმოვნისანი სახელებს მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში):

„ძველი იფნი ჭრიალებდა, მკვლავმსხვილა და ტანხატულა, ქარმა ნისლი თრიალეთთან **კურდღელივით** აახტუნა“ (მ. გელოვანი); „ეს ტიალი დროც მამალი მგლისაგან დამფრთხალი **კურდღელივით** გადირბენს თავის მინდორს (მ. კოსტავა); „ერთი კი ისაა, რომ თქვენს მიმოსვლას **ქორებივით** აკვირდებიან ყვითელ სამოსში გამოწყობილი კონტროლიორები“; „ბედნიერი, **ბაყაყივით** გაბღენძილი ზაალი არსენას აღარც კი ამჩნევდა, ბებერი **ვაცივით** დააბოტებდა“ (მ. ჯავახიშვილი)...

ამრიგად, -**ვით** დაერთვის ბოლოხმოვნისანი სახელებისა და ნა-

ცვალსახელების მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმებს (გავრცობილს), ხოლო ბოლოთანხმოვნის სახელების მიცემითისა (გავრცობილის) და სახელობითის ფორმებს.

იმ შემთხვევაშიც, როცა **-ვით** ბოლოთანხმოვნის სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ასეთ სახელს ჩვენებითი ნაცვალსახელი სახელობითის ფორმით კი არ ეწარმოება, არამედ მიცემითით (**ამ კაცივით, მაგ კაცივით** და არა: **ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით**) [ნორმები 1986].

ამრიგად, ნორმებში წარმოდგენილია თანდებულის ბრუნვებთან დაკავშირებული შემდეგი რეკომენდაციები:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულის სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში ერთადერთ სახეობად დარჩეს **-ზე (თავზე, ხელზე, მიწაზე** და არა: **თავზედ, ხელზედ, მიწაზედ...)**.

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას ძველი (**-ზედა**) სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად (**მთაზედაც, მიწაზედაც...** და არა: **მთაზეც, მიწაზეც...**) [ნორმები 1986], თუმცა თანამედროვე ქართულის მონაცემების მიხედვით, მეორე სახეობა უფრო გავრცელებულია და, ვფიქრობთ, აკრძალვა უნდა მოეხსნას **სახლზეც, ჩემზეც, მეგობარზეც** ტიპის ფორმებს.

**-ვე** ნაწილაკის დართვისას იხმარებოდა ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი **-ზედ (მთაზედვე, მიწაზედვე...** და არა: **მთაზევე, მიწაზევე...**) [ნორმები 1986]. ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივად უკვე დამკვიდრებულია **-ზე** ვარიანტიანი ფორმები: **სახლზევე, ჩემზევე, შენზევე**. ამიტომ აკრძალვა უნდა მოეხსნას **მიწაზევე, შენზევე** ტიპის ფორმებს.

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი სახეობაა **-ში**. **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს **-შია** სახეობაც: **ამაშიც და ამაშიაც; მთაშიც და მთაშიაც; ბარშიც და ბარშიაც**. ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს: **ამაშიც, მთაშიც, ბარშიც**. თანამედროვე ქართულში გაბატონებულია **გულშიდაც და გულშიც** ტიპის წარმოება.

3. **-ც(ა)** და **-ვე** ნაწილაკების დართვისას დარჩეს **-თან** და **-თანა** სახეობები თანდებულისა, მაგრამ **-ც(ა)** ნაწილაკის დართვის შემთხვევაში **-თან** სახეობის წინაშე უპირატესობა შეიძლება **-თანა** სახეობას მიენიჭოს (უპირატესია: **დედასთანაც, ამხანაგთანაც...**), ხო-

ლო -ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში – **თან** სახეობას (უპირატესია: **დედასთანვე, ძმასთანვე, თქვენთანვე, ჩემთანვე**, მაგრამ: **ამასთანავე, ამის მიღებისთანავე**. ეს წესი ფაქტობრივად დაცულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც, კერძოდ, მწერლობასა თუ რადიო-ტელევიზიის ენაში.

4. **-გან** თანდებულიან სახელებზე **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მიღებულ **-გან-ც** და **-გან-ა-ც** ფორმებისგან ორივე ლიტერატურულია: **ძმისაგანც, ძმისაგანაგ. ვე** ნაწილაკის დართვისას მხოლოდ უანო ფორმაა შესაძლებელი: **ძმისაგან-ვე**. პირველი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დარღვეულია – გაბატონებულია მხოლოდ **ძმისაგანაგ** ტიპი.

5. **-მდე, -მდის, -მდი, -მდინ** და სხვა სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეიძლება დარჩეს მხოლოდ ორი: **მდე** და **მდის** (**ქალაქამდე** და **ქალაქამდის; აქამდე** და **აქამდის**), თუმცა დღეს ძირითადად დასტურდება **-მდე** თანდებულიანი ვარიანტები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა).

6. მტკიცედ უნდა იქნეს დაცული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული წესი, რომ:

ა) **-გან** თანდებული ნათესაობითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე **ამხანაგისგან (ამხანაგისაგან)**); შაქარს ამაღებენ **ჭარხლისგან (ჭარხლისაგან)**; მიწვევა მიიღეს **უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან)**...

ბ) **-გან** თანდებული მოქმედებითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (**ქალაქიდან** ჩამოვიდა... ახლახან დაბრუნდა **უნივერსიტეტიდან... დილიდან** წვიმდა...).

7. ბოლოთანხმოვნიან სახელებში უპირატესობა მიეცეს **-ვით** ნაწილაკის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან (**ლომსავით, კაცსავით**) და ამ ფორმებს გაეკაფოს გზა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია **ლომივით, კაცივით** წარმოება, ხოლო **ლომსავით, კაცსავით** ფორმებს უფრო არქაული იერი დაჰკრავს და ნაკლებად გვხვდება.

პირის ნაცვალსახელებზე დართვისას შესაბამისი კუთვნილე-

ბითი ნაცვალსახელების ფორმა იქნება გამოყენებული და თანხმობა ვანფუძიანობის მიუხედავად ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს მიცემითზე დართვა (**ჩემსავით, შენსავით, ჩვენსავით, თქვენსავით**, შეუძლებელია: **ჩემივით, შენივით, ჩვენივით...**).

8. **-თვის, -კენ და -გან** თანდებულის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე ორივე ფორმა იქნეს მიჩნეული დასაშვებად: გავრცობილიც და გაუვრცობელიც (**მმისათვის და მმისთვის, სახლისაკენ და სახლისკენ, მმისაკენ და მმისკენ**).

\* \* \*

გარდა ზემოთქმულისა, თანამედროვე ქართულში დასტურდება თანდებულთა აღრვის სხვა შემთხვევებიც. ხშირად **-ზე** და **-ში** თანდებულიანი ფორმები უმართებულოდ გამოიყენება. მაგალითები:

**-ზე** თანდებული **-ში** თანდებულის ნაცვლად:

„მშვენიერი გოგონა შეირთო და **ქორწილზე** მიიპატიჟა ახლადშემენილი ნათესავი“ (უნდა იყოს: **ქორწილში** მიიპატიჟა); „ბოლო **წუთებზე** გაიტანეს გადამწყვეტი გოლი“ (უნდა იყოს: ბოლო **წუთებში**); „ძმებს ჯერაც არ გაეხადათ ის საგარეო ტანსაცმელი, **ქორწილზე** რომ ეცვათ“ (უნდა იყოს: **ქორწილში**); „მანდარინის ფასს რაც შეხეება, დღეს ბათუმში **ბაზარზე** მაღალი ხარისხის მანდარინი 80 თეთრი ღირს“ (უნდა იყოს: **ბაზარში**); „მთელი წელი არ დაუსვენია, **ზაფხულზე** წავა ალბათ ზღვაზე“ (უნდა იყოს: **ზაფხულში**) და მრავალი სხვა.

**-ზე** თანდებული **-თვის** თანდებულის ნაცვლად:

„**ბინათმშენებლობაზე** სესხის თანხა 100 აშშ დოლარიდან 5000 აშშ დოლარამდე“ (უნდა იყოს **ბინათმშენებლობისათვის // ბინათმშენებლობისთვის**); „საქველმოქმედო **ორგანიზაციებზე** გაცემული თანხის დიდი ნაწილი არ ჩანს“ (უმჯობესია: **ორგანიზაციებისთვის // ორგანიზაციებისათვის**); „საერთაშორისო **კონფერენციებზე** გაცემული თანხის გამოქვითვა გვიან მოხდება“ (უმჯობესია: **კონფერენციებისათვის // კონფერენციებისთვის**)...

ხშირად გვხვდება **-ზე** თანდებულიანი ფორმები ნაცვლად შესიტყვებისა – ნათესაობითი ბრუნვის ფორმას + ვითარებითბრუნვისფორმიანი მყოფადი დროის მიმღობა:

„რაც დარჩა, პაპამ კოკაში ჩაასხა, მერე შვილიშვილი **პურზე** გაგზავნა“ (უმჯობესია: **პურის მოსატანად**); „მამა ელოდა, ელოდა და, ბიჭი რომ აღარ მობრუნდა, წავიდა **წყალზე**“ (უმჯობესია: **წყლის მოსატანად**).

დასტურდება -**ზე** თანდებულისანი სახელები -**გან** თანდებულისანი ფორმების ნაცვლად: „**თითოეულ ფურზე** 3 ლიტრი რძე ივარაუდება“ (უმჯობესია: **თითოეული ფურისაგან**); „**10 ცხვარზე** 20 პატარა ცხვარი ივარაუდება“ (უმჯობესია: **10 ცხვისაგან**); „**2 დედალზე** 14 კილოგრამი ხორცი მიიღეს“ (უმჯობესია: **2 დედლისაგან**)...

ხშირია -**ზე** თანდებულისანი სახელები -**თან** თანდებულისანი ფორმების ნაცვლად: „ადამიანთა ცხოვრება დედამიწაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული **სიცოცხლის დაცვაზე** (უნდა იყოს: **სიცოცხლის დაცვასთან**), მაგრამ: **დამოკიდებულია სიცოცხლის დაცვაზე, წარმოების ზრდაზე** (ე. ი. „დაკავშირებულია“ ზმნა -**თან** თანდებულისანი სახელთან იხმარება, ხოლო „დამოკიდებულია“ – -**ზე** თანდებულისანი ფორასთან)...

შეინიშნება -**ში** თანდებულისანი სახელები უთანდებულო მიცემითის ნაცვლად:

„XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისაგან დევნილმა მოღალატე მსხვილმა ფეოდალმა ძაგანმა თავი **მღვიმეში შეაფარა**“ (უმჯობესია: **მღვიმეს შეაფარა**); „ამ ჭაბუკმა მემკვიდრეობა დაკარგა და ჯერ კიდევ ბავშვმა თავი იონას **მონასტერში შეაფარა**“ (უმჯობესია: **მონასტერს შეაფარა**); „როცა გარეთ თავსხმა და სეტყვაა, სტიქია ბობოქრობს, ადამიანი **გამოქვაბულში აფარებს თავს**“ (უმჯობესია: **გამოქვაბულს აფარებს თავს**); „დაიბადა **2010 წელში**“ (უნდა იყოს: **2010 წელს**)...

გვხვდება -**კენ** თანდებულისანი სახელები -**თვის** თანდებულისანი ფორმათა ნაცვლად:

„ნივთიერებათა ცვლა **საღამოსკენ** ნელდება და ყველაფერი ზედმეტ ცხიმად იქცევა (უნდა იყოს: **საღამოსთვის**); „**საღამოსკენ** გაძლიერდა განმარტოებისა და საკუთრივ ფანტაზიებში ნებივრობის სურვილი“ (უნდა იყოს: **საღამოსთვის**); „**საღამოსკენ** უკვე გალიაში მოქცეულ ცხოველს ვგავდი, ვერ ვჩერდებოდი ერთ ადგილას“ (უნდა იყოს: **საღამოსთვის**); „შედეგად, **საღამოსკენ** მოვილაპარაკეთ, რომ გიგა ჩემს მაგივრად ჩავიდოდა პარიზში“ (უნდა იყოს: **საღამოსთვის**); „ბოლოს, **საღამოსკენ** როგორც იქნა შეარჩია ყვავილებიანი

ფარდა ვარდისფერი ფონით“ (უნდა იყოს: **სადამოსთვის**); „**შუაღამისკენ** კი ნაკურთხი წყლის ასავსებად მოამზადეს სუფთა ჭურჭელი“ (უნდა იყოს: **შუაღამისთვის**); „**წლის ბოლოსკენ** გზამკვლევის მეორე ნაწილიც გამოიცემა“ (უნდა იყოს: **წლის ბოლოსთვის**); „**ღამის სამისკენ** ლომების ღრიალი გამაღვიძებს და ცეცხლით ხელში დაზაფრული გავვარდები გარეთ“ (უნდა იყოს: **სამისთვის**); „ჩვენ ყველა ნაბიჯი უნდა გადავდგათ **იმისკენ**, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ“ (უნდა იყოს: **იმისათვის**)...

-**კენ** თანდებული ხშირად გვხვდება მაშინაც, როცა უმჯობესია მიც. და ნათ. ბრუნვიანი ფორმების გამოყენება:

„როდესაც **დილისკენ** იწერება ლექსი, პროცესი უფრო რთულია“ (უნდა იყოს: **დილას** ან **დილით**); „წასვლას ნამდვილად ვერ მოვახერხებთ, მაგას **თებერვლისკენ** ვგეგმავთ“ (უნდა იყოს: **თებერვლისთვის**)...

-**თვის** თანდებულიანი ფორმების ნაცვლად ხშირად გამოიყენება **იმიტომ**:

„ფაქტია, რომ დღეს რაღაც დამატებითია საჭირო **იმიტომ**, რომ სწორი განვითარება უზრუნველვყოთ“ (უნდა იყოს: **იმისათვის**); „ჩვენ თავს გავწირავთ **იმიტომ**, რომ გარყვნილება და უზნეობა არ იქნეს ჩვენს ქვეყანაში დანერგილი“ (უნდა იყოს: **იმისათვის**); „ამას **იმიტომ** ვაკეთებ, რომ ჩვენი ხალხი გავახარო, გულშემატკივარი მინდა რომ კვლავ გაღიმებული დადიოდეს სტადიონზე“ (უნდა იყოს: **იმისათვის**); „ხართ თუ არა დაბადებული **იმიტომ**, რომ გახდეთ მილიარდერი?“ (უნდა იყოს: **იმისათვის**); „ამ სასტიკ მეთოდს იყენებენ გარეული სპილოების მოსათვინიერებლად **იმიტომ**, რომ შემდეგ ამ სპილოებმა ტურისტები ასეირნონ“ (უნდა იყოს: **იმისათვის**)...

ასევე ხშირია **-გან** და **-იდან** თანდებულიანი ვარიანტების მონაცვლეობის შემთხვევები:

„რელიგიის ცნება მომდინარეობს ლათინური **ზმნებისაგან** // „ამ **ზმნებიდან** მომდინარე სიტყვებია“; „ეს სემანტიკა სახელის **ფუძისაგან** მომდინარეობს“ // „სახელის **ფუძიდან** ნაწარმოები ფორმები“...

ასეთ შემთხვევებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს **-გან** თანდებულიან ფორმებს.

ძალიან ხშირად ერთმანეთს ენაცვლება ნათესაობითი ბრუნვის **თანაინი** მრავლობითის **-გან** თანდებულიანი და მოქმედებითი

ბრუნვის **ებიანი** მრავლობითის **-იდან** თანდებულიანი ფორმები. რომელს მივანიჭოთ უპირატესობა? მაგ.: „ამ **სიტყვათაგან** შეარჩიეთ სწორი ვარიანტი“, შდრ.: „მოცემული **ფორმებიდან** ამოწერეთ მართებული ვარიანტები“; „მარადმწვანე **მცენარეთაგან** რომელი გვხვდება საქართველოში?“, შდრ.: „მარადმწვანე **მცენარეებიდან** ჩვენში გავრცელებულია...“; „ჩამოთვლილი **ფორმებიდან** რომელი ავტომობილის მძღოლს ეკრძალება გადაადგილება?“, შდრ.: „**ჩამოთვლილთაგან** რომელი ავტომობილის მძღოლს ეკრძალება გადაადგილება?“...

ზემოთჩამოთვლილ მაგალითებში წარმოჩენილია „გამორჩევითობის“ სემანტიკა (**სიტყვათაგან // ფორმებიდან; მცენარეთაგან // მცენარეებიდან**). სხვაობა წინადადებებს შორის სტილისტიკური ხასიათისაა. ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს **თაგან** ვარიანტს.

\* \* \*

თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

1) **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში დარჩეს **-ზე** სახეობა (**მთაზე, ტბაზე, მდინარეზე**);

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას **-ზედა** და **-ზე** თანდებულიანი ფორმები მიჩნეულ იქნეს პარალელურ ვარიანტებად (**მთაზედაც // მთაზეც**);

პარალელურ ვარიანტებად იქნეს მიჩნეული აგრეთვე **-ვე** ნაწილაკდართული **-ზედა** და **-ზე** თანდებულიანი ფორმები (**მიწაზედაც // მიწაზეც**).

2) თუ **გულში** ტიპის ფორმებზე **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას ანიანი ვარიანტები მიიჩნეოდა მართებულად (**ამაშიაც, მთაშიაც**), თანამედროვე ქართულში უპირატესობა ენიჭება უანო ფორმებს: **ამაშიც, მთაშიც**.

3) **-ც(ა)** ნაწილაკდართულ **-თან** თანდებულიან სახელთაგან მართებულად უნდა ჩაითვალოს **-თანა** სახეობიანი ფორმები – **დედასთანაც, ძმასთანაც** (და არა: **დედასთანც, ძმასთანც**); **-ვე** ნაწილაკის დართვისას **-თან** ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა: **დედასთანვე, ძმასთანვე**.



4) -**გან** თანდებულის სახელებზე -**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მართებულად ჩაითვალოს გავრცობილი ფორმები **ძმისაგანაც** ტიპის წარმოება (და არა: **ძმისგანც**); -**ვე** ნაწილაკის დართვისას მხოლოდ უნაო ფორმებია მისაღები – **ძმის(ა)გან-ვე**.

5) -**მდე** და -**მდის** თანდებულისანი ფორმები შეიძლება პარალელურ ვარიანტებად დარჩეს: **სახლამდე // სახლამდის** (თუმცა თანამედროვე ქართულში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, -**მდე** თანდებულისანი სახელებია გაბატონებული).

6) მტკიცედ უნდა იქნეს დაცული შემდეგი წესი:

ა) -**გან** თანდებული ნათესაობითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასლას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: **ვისგან? რისგან?** (წერილი მივიღე **ამხანაგისგან**, შაქარს **ამზადებენ ჭარხლისგან**);

ბ) -**დან** თანდებული მოქმედებითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: **საიდან? რა დროიდან?** (**ქალაქიდან** ჩამოვიდა, **დილიდან** წვიმს...).

7) -**ვით** თანდებულის ხმარება სახელობითთან დასაშვებად იქნეს მიჩნეული (**ლომივით, კაცივით**), ასევე ბოლოთანხმოვნიან სახელებში – მიცემით ბრუნვასთან (**ლომსავით, კაცსავით**), ნაცვალსახელებთან – **ჩემსავით, შენსავით** (და არა: **ჩემივით, შენივით**).

8) -**თვის, -კენ** და -**გან** თანდებულების დართვისას (ნათ. ბრ.) ორივე ფორმა მიჩნეულ იქნეს დასაშვებად – **გავრცობილიც** და **გაუვრცობელიც** (**დედისთვის** და **დედისათვის, ძმისგან** და **ძმისაგან, სახლისკენ** და **სახლისაკენ**).

## ლიტერატურა

**ნორმები 1986** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

## Some Issues of Misusing Postpositions in Modern Georgian

### Summary

The paper deals with the problems about using postpositions that can be found quite often in Georgian mass media. The postpositions **-ze** and **-ši** are often misused, e. g. *mšvenieri gogona šeirto da korčilze miipatiža* "He married a wonderful girl and invited her to the wedding" (correct: *korčilši*). Sometimes the postposition **-ze** is used instead of the postposition **-tvis**, e. g. *sakvelmokmedo organizaciebze gacemuli tanxis načili ar čans* "A huge amount of money for the charitable organizations cannot be found" (better: *organizaciebistvis*). The postposition **-ze** is also used instead of the postposition **-gan**, e. g. *titoeul purze 3 liṭri rze ivaraudeba* "Each cow gives 3 liters of milk supposedly" (better: *purisagan*). There are cases where **-ken** is used instead of **-tvis**, e. g. *sayamosken gazlierda ganmarṭoebisa da saṭutriv panṭaziebši nebivrobis survili* "In the evening the desire of solitude and enjoyment in fantasies became stronger" (correct: *sayamostvis*). As for the alternation of the postpositions **-gan** and **-idan**, it is quite frequent in one and the same context, e. g. *religiis cneba latinuri zmnebisagan momdinareobs / religiis cneba latinuri zmnebidan momdinareobs* "The concept of religion originated from Latin verbs" (better: *zmnebisagan*) etc.

The paper also provides recommendations about the correct use of postpositions.